ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი # 7

ქ. ონი 27. 07. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ლევან ორდინიძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლევან ორდინიძე, ბესიკი მაისურაძე, თამილა არჩვაძე, თორნიკე მეტრეველი, ფრიდონ გოგრიჭიანი, მერაბ ბიჭაშვილი, ვლადიმერ ბერელიძე, თამაზ მეტრეველი, ნონა მაისურაძე, ეკა მაისურაძე.

არ ესწრებოდნენ: ნინო გობეჯიშვილი, ნოდარ ბურდილაძე, გიორგი მეშვილდიშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

2. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებელის შემოღების შესახებ.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

3. სსიპ-დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის დავით აღმაშენებლის ქუჩა #10-ში მდებარე შენობის მე-3 სართულზე მდებარე 2 ოთახის (საერთო ფართით-53,08 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

4. „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის #10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

5. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

6.სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის ანგარიში.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

7. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მ/წ. 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. ლ. ორდინიძე- კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 2. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებელის შემოღების შესახებ.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებელის შემოღების შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 3. სსიპ-დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის დავით აღმაშენებლის ქუჩა #10-ში მდებარე შენობის მე-3 სართულზე მდებარე 2 ოთახის (საერთო ფართით-53,08 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი სსიპ-დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის დავით აღმაშენებლის ქუჩა #10-ში მდებარე შენობის მე-3 სართულზე მდებარე 2 ოთახის (საერთო ფართით-53,08 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეუწონლად მიიჩნიეს სპორტკომპლექსის შენობაში სსიპ-დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის ფართის გამოყოფა, აღნიშნული დაწესებულებების სპეციფიკიდან გამომდინარე.

საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია აღნიშნული მიზნისთვის ალტერნატიული ფართის სახით მუნიციპალიტეტის მერიას სთავაზობს შეუბნის თემის ადმინისტრაციულ და ყოფილი საავადმყოფოს შენობებს.

მოისმინეს: 4. „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის #10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის #10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

მოისმინეს: 5. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ლ. ორდინიძემ სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და რეკომენდაციას გასცემს, წარმოდგენილი საპრივატიზაციო ობიექტების გეგმიდან ამოღებული იქნეს ონის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონება კამაცუ D65EX15EO და პროექტი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცდეს აღნიშნული მოძრავი ქონების გარეშე.

მოისმინეს: 6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი

ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის ანგარიში.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის ანგარიში.

კომისია გასცემს რეკომენდაციას საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: 7. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მ/წ. 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. ლ. ორდინიძე- კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია მ/წ. 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ინფორმაცია მოსმენილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ლევან ორდინიძე

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე